ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 თებერვალი, სამშაბათი № 28 (9689) ▲ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲔᲑᲡ — ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა მოწყობის პერიოდში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სპორტული დაწესებულებების ამოცანების საკითხი.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ახორციელებენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი ის არის, რომ გაიზარდოს სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა როლი იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის განმტკიცებაში, მშრომელთა სრულფასოვანი დასვენების ორგანიზაციისა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომ აღმავლობაში.

ამავე დროს, უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში, მთელი რიგი შეჯიბრებების მოწყობის დროს, იყო საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის შემთხვევები, როგორც ტრიბუნებზე, ისე სპორტული ნაგებობების ფარგლებს გარეთ, სპორტსმენთა, გუნდების მწვრთნელთა და მაყურებელთა უღირსი ქცევის ფაქტები.

მაგალითად, შარშან რესპუბლიკის საფეხბურთო პირველობაში მოედნიდან გააძევეს 21 და გააფრთხილეს 291 სპორტსმენი, 7-ჯერ მაყურებლები ჩაერივნენ შეჯიბრების მიმდინარეობაში. სხვადასხვა ვადით დისკვალიფიცირებულ იქნა ცხინვალის, თელავის, ჩხოროწყუს, ტყიბულის სტადიონები. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია დაჯარიმდა 1000 შვეიცარიული ფრანკით იმისათვის, რომ უეფა-ს მოთხოვნებით გათვალისწინებული პირობები ვერ უზრუნველყო გორის სტადიონზე სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდებს შორის ევროპის ჭაბუკთა პირველობის მატჩში.

როგორც ანალიზი მოწმობს, სპორტულ ნაგებობებზე და მათს ფარგლებს გარეთ საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევების მონაწილეთა დიდ ნაწილს შეადგენს ახალგაზრდობა. სხვადასხვა დარღვევებისათვის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაკავებულთა ოცდაათ პროცენტს არასრულწლოვანები შეადგენენ. საზოგადოებრიობის დიდი აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტებმა, როცა ვაი-გულშემატკივრების, მეტწილად ახალგაზრდებისა და მოზარდების ჯგუფი ხულიგნურად მოიქცა 1987 წლის 17 ოქტომბერს ლანჩხუთის „გურიასა“ და ხარკოვის „მეტალისტის“ მატჩის შემდეგ. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ხულიგნური მოქმედების ხუთი წამომწყების წინააღმდეგ, რომლებმაც ზარალი მიაყენეს ადგილობრივ სტადიონს, თავად ლანჩხუთის სტადიონი კი, სადაც უკანასკნელ ხანს სამჯერ მოხდა საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევები, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ექვსი თამაშით არის დისკვალიფიცირებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპორტული ფანატიზმისა და ანტისაზოგადოებრივი საქციელის უხეში გამოვლინებანი შესაძლებელი გახდა იმ არაჯანსაღი აჟიოტაჟის ვითარებაში, რომელიც „გურიის“ გარშემო შეიქმნა რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კომკავშირული ორგანიზაციების მხრივ ამ პრობლემებისადმი ყურადღების შესუსტების პირობებში. პარტიის ლანჩხუთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტების გამო მიიღეს ლიბერალური, სანახევრო გადაწყვეტილება. შრომითი და სასწავლო კოლექტივების კრებებმა კი, რომლებმაც ინციდენტები განიხილეს, სათანადო სიმწვავის, შესაბამისი პრინციპული შეფასებების გარეშე ჩაიარა.

აღინიშნა, რომ ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, განათლების, სამინისტროები, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, სპორტსახკომი, სახაგრომრეწვი, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებები საკმარის ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ, რათა ახალგაზრდობას, მოსწავლეებს, სტუდენტებს, სპორტსმენებს ჩაუნერგონ მასობრივ სპორტულ შეჯიბრებებზე ქცევის მაღალი კულტურა, შეგნებული დამოკიდებულება სოციალისტური სა-

ᲘᲮ. ᲛᲔ.2 ᲒᲕ

ᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡᲘ — ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲛᲐᲡ (ᲛᲫᲚᲔᲝᲜᲝᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ) — ᲛᲘᲔᲚᲕᲜᲐ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲒᲐᲠᲔᲣᲚᲨᲘ 8-ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲢᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲫᲚᲔᲝᲜᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲠᲝᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ, ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ, ᲒᲓᲠ-ᲘᲡ, ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ 150-ᲜᲘ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲕᲐᲣᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ 12 ᲙᲛ. ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲧᲚᲘᲔᲠᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ Ვ. ᲛᲐᲘᲤᲐᲢᲘ (ᲣᲐᲖᲔᲗᲘ). ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲨᲘ 6 ᲙᲛ-ᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲯᲝᲛᲐ Ო. ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲜᲙᲝᲛ (ᲠᲡᲤᲡᲠ).

• • •

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲮᲘ ᲑᲐᲢᲣᲢᲣᲖᲔ ᲮᲢᲝᲛᲐᲨᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐᲛ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲫᲘᲣᲓᲝᲨᲘ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ — ᲐᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲢᲝᲢᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲐᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ. ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ნახევრის სიუჟეტური ქარგა ერთობ არასტანდარტულად განვითარდა. ოთხ წონაში ოქროს მედლები მოიპოვეს მოჭიდავეებმა, რომლებიც ადრე ჩემპიონები არ ყოფილან.

საქართველოს ძიუდოისტთათვის განსაკუთრებით ბარაქიანი გამოდგა შეჯიბრების ბოლო დღე, რომელშიც რესპუბლიკის ათლეტებმა კიდევ ორი ოქროს ჯილდო მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ: აბსოლუტურ კატეგორიაში 22 წლის ქუთაისელი ავთანდილ გუბელაძე, 60 კგ წონითს კატეგორიაში კი გუშინდელი იუნიორი, 18 წლის თბილისელი ამირან ტოტიკაშვილი.

ერთი დღით ადრე ჩემპიონის ტიტული კიდევ ორმა დებიუტანტმა მოიპოვა. 65 კგ წონაში ყველას ჰავლოდარელმა სერგეი აშიროვმა აჯობა, 71 კგ წინაში კი იგორ შკარინმა (ნაბერეჟნეი ჩელნი).

ამ წონაში საქართველოსაც ჰყავს პრიზიორი. ეს გახლავთ გორელი გიორგი თენაძე, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

რესპუბლიკის ძიუდოისტებმა ოლიმპიურ სეზონში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სამი ოქროს (კობა კურტანიძე, ამირან ტოტიკაშვილი, ავთანდილ გუბელაძე), ერთი ვერცხლისა (აკაკი კიბორძალიძე) და ორი ბრინჯაოს მედალი (ენგურ გოგიჩაშვილი და გიორგი თენაძე) მოიპოვეს.

გუნდურ ჩათვლაში პირველი სამი ადგილი რუსეთის ფედერაციის, საქართველოსა და ყაზახეთის წარმომადგენლებს ხვდათ.



ამირან ტოტიკაშვილი

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ

ᲘᲣᲜᲘᲝᲠ ᲛᲝᲤᲐᲠᲘᲙᲐᲕᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

— ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲨᲜᲘᲗ ᲛᲝᲤᲐᲠᲘᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, — ᲗᲥᲕᲐ ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲝᲠ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲮᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐᲨᲘ �გᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ, — ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲥᲗᲔᲕᲔᲜ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔᲐ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ �გᲣᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲨᲘ Ე. Ი. 16 ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲐᲦᲡᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲑᲐᲥᲝᲔᲚ ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲝᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ, ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲘ. ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲯᲐᲠᲘᲛᲓᲐ 1000 ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲘᲗ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲗ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲩᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ. ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ (1970) 29-Ე ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲘᲐ ᲛᲐᲗᲗᲘᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ 24-Ე ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ.

ᲛᲐᲗᲛᲐ 18 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔᲛ ᲙᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘᲪ ᲘᲧᲝᲩᲐᲦᲐ: ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ (ᲙᲣᲑᲘᲑᲨᲕᲘᲚᲘ — 6:8), მაგრამ გული არ გაუტეხია, დაძაბულ ორთაბრძოლაში სძლია ლენინგრადელ ოლგა კალინოვსკაიას — 8:7. ფარიკაობის წესის თანახმად ფინალში გასასვლელად ორი ბრძოლის მოგებაა საჭირო და ეს ამოცანა თბილისელმა სპორტსმენმა წარმატებით გადაწყვიტა, ძალზე ძლიერად ჩაატარა მომდევნო შეხვედრა კიეველ ოქსანა ტატარკინასთან და გაიმარჯვა — 8:4. სხვათა შორის, თავიდან ტატარკინა იყო წინ — 2:0.

ის, რაც გაჩიჩილაძემ გააკეთა, თავისთავად უკვე წარმატებაა ჩვენი სპორტსმენისთვის, მეტის მიღწევის იმედი კი უკვე აღარ იყო: მას ფინალის პირველ შერკინებაში ფავორიტი, პირველ ნომრად დასახელებული ოლგა ტარასოვა შეხვდა, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც — 8:3. საბოლოოდ ქეთევან გაჩიჩილაძემ (პროფკავშირები), რომელსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამარ დარასელია ავანრჯიშებს, მე-8 ადგილი დაიკავა.



ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲪ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ

6 და 7 თებერვალს წყალტუბოს საკონცერტო დარბაზ „ოვერიაში“, სადაც მიმდინარეობს პრეტენდენტ ქალთა ტურნირი ჰადრაკში, გაიმართა VII და VIII ტურის შეხვედრები.

პირველი წრის ბოლო, VII ტურში განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერის მარტა ლიტინსკაიასა და მსოფლიოს ექსჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის შეხვედრა. ლაზიერის გამბიტში სწრაფად გაიცვალა ფიგურები და უკვე მე-17 სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ნანა ალექსანდრია — ნანა იოსელიანის პარტიაში ჰოლანდიური დაცვა გათამაშდა. მწვავე პოზიციაში მეტოქეებს ცაიტნოტი წამოეპარათ. მალე პარტია ენდშპილში

ᲘᲮ. ᲛᲔ.3 ᲒᲕ.

SOS

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲣᲩᲥᲛᲔᲑᲔᲜ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲡ?

რედაქციაში სისტემატურად მოდის საგანგაშო სიგნალები იმის თაობაზე, რომ ცალკეულ საწარმოებსა და დაწესებულებებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სხვა ორგანიზაციებში ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის შტატების რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით აუქმებენ ფიზკულტურის მეთოდისტის თანამდებობას, რაც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა (იხ. 1987 წლის 22 ნოემბრის „ლელო“).

რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს ვთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობონ სად, როდის და ვინ გააუქმა მეთოდისტის საშტატო ერთეული. უჩვენეთ კონკრეტული ორგანიზაციები და ხელმძღვანელი მუშაკების გვარები.

ცნობები რედაქციაში უნდა გამოგზავნოს 25 თებერვლამდე. კარგი იქნება თანამდებობიდან უკანონოდ განთავისუფლებული მეთოდისტები თავადაც თუ გამოგვეხმაურებიან.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲔᲑᲡ—ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ერთო ცხოვრების ნორმებისადმი, რესპუბლიკის პრესტიჟისა და კეთილი სახელისათვის ზრუნვის გრძნობა, არ ქმნიან საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისადმი შეურიგებლობის ვითარებას, იჩენენ გაუმართლებელ ლიბერალიზმს ნეგატიური მოვლენების შეფასების დროს.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას სპორტულ კოლექტივებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ლოთობის, სპორტული რეჟიმის დარღვევების, ოსტატთა გუნდების წევრების თავშეუკავებლობის ფაქტები.

მაგალითად, სოხუმის „დინამოსთან“ მატჩში ტყიბულის „მეშახტის“ ფეხბურთელთა უღირსმა საქციელმა გამოიწვია უწესრიგობანი ტყიბულის სტადიონზე. მთლიანად შეიცვალა მაღაროელთა კლუბის ხელმძღვანელობა, სამი მოთამაშე კი გაირიცხა კოლექტივის შემადგენლობიდან და დისკვალიფიცირებულია. მხოლოდ წაყრუებითთა და უპასუხისმგებლო ყოვლისმომტევებლობით შეიძლება აიხსნას, რომ ქუთაისის „იმერეთის“ ყოფილი მოთამაშე ზ. გელაშვილი, რომელიც დისკვალიფიცირებული იყო 1986 წელს ხულიგნური საქციელისათვის და არ ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო ოფიციალურ ასპარეზობაში, გასული სეზონში კვლავ აღმოჩნდა გუნდში, შემდეგ კი თამაში დაიწყო ჩხოროწყუს „სამეგრელოში“. ეთიკისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები აღინიშნება ნორჩ სპორტსმენთა შორისაც კი — თბილისის „ნორჩი დინამოელი“ 1987 წლის მარტში მოხსნეს საკავშირო შეჯიბრებიდან კოლექტიური ჩხუბისათვის.

ასეთი შედეგები გამოწვეულია იმით, რომ არ არის საჯაროობა სპორტულ კოლექტივების ცხოვრებაში. არსებულ ნაკლოვანებებს ჩქმალავენ, მწვავე პრობლემებს აფუჩეჩებენ, ეს კი სპორტულ წრეებში წარმოშობს უდისციპლინობას, ეთიკური ნორმების დარღვევას, მუშტრულ განწყობილებას, არაჯანსაღ აჟიოტაჟს სპორტის მოყვარულთა შორის.

რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები, გუნდებისა და სპორტნაგებობების ხელმძღვანელები ჯეროვნად არ მუშაობენ მასობრივი შეჯიბრებების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. სპორტულ ნაგებობებზე ორგანიზაციულ და აღმზრდელობით მუშაობაში სუსტად იზიდავენ საზოგადოებრიობას, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ვეტერანებს. გასაუმჯობესებელია ასპარეზობის დროს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების პროფილაქტიკისათვის, თავიდან აცილებისათვის სამართალდაცვით ორგანოებთან მუშაობის კოორდინაცია.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდათა სულიერი კულტურის, იდეურ-ზნეობრივი ინტერნაციონალური თვისებების ჩამოყალიბებაში სპორტული შეჯიბრების სოციალურ, აღმზრდელობითს მნიშვნელობას. კუთხურობისა და ფსევდოპატრიოტიზმის აშკარა გამოვლინებებს, რომლებსაც დროზე არ აძლევენ პრინციპულ შეფასებას, მოსდევს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები, ისინი აღვივებენ არაჯანსაღ განწყობილებას, ხელს უწყობენ ცალკეულ პირთა კერძომესაკუთრულ მისწრაფებებს.

ასეთ ნეგატიურ მოვლენებს ნიადაგს უქმნის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის ობიციური მისწრაფებანიც, რომლებიც ცდილობენ ამწუთიერი სპორტული მიღწევების ხარჯზე მოიპოვონ ყალბი ავტორიტეტი ქალაქის, რაიონის მოსახლეობას შორის. ამის შედეგად გავრცელდა „შეთანხმებული თამაშები“, არაობიექტური მსაჯობა, მოთამაშეთა გადაბირება.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ცნო სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა მოწყობის პერიოდში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის, შეჯიბრებებზე მოზარდთა, ახალგაზრდობის, სპორტსმენთა ქცევის მაღალი კულტურის ჩანერგვისათვის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სპორტული დაწესებულებების მუშაობა.

ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს მიეცათ კონკრეტული დავალებანი აღმოფხვრან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები სპორტულ ნაგებობებზე და მათ გარეთ, გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა მაყურებლებთან და ასპარეზობის მონაწილეებთან, განახორციელონ მტკიცე ღონისძიებანი დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, ამასთან დამალონ ქაღალდ გუნდები და დისკვალიფიკაცია მისცენ სტადიონებს.

დადგენილებაში გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ახალგაზრდობა, განსაკუთრებით მოზარდები, სისტემატურად ჩაებან ფიზკულტურასა და სპორტში, გააერთიანონ ისინი გულშემატკივართა კლუბებში, სპორტის მოყვარულებს ჩაუნერგონ ქცევის მაღალი კულტურა, კოლექტივიზმისა და სპორტული ამხანაგობის გრძნობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის მოთხოვნილება.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ სახტელერადიოს დაეკისრათ რეგულარულად გააშუქონ ფიზკულტურისა და სპორტის პრობლემები, კრიტიკულად გაანალიზონ ასპარეზობის ორგანიზაციის დონე, პრინციპულად შეაფასონ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების მუშაობა ამ მიმართულებით, უფრო ხშირად გამოაქვეყნონ მასალები, რომლებიც რესპუბლიკის წამყვან გუნდებში საქმის ვითარებას ასახავენ.

(საქინფორმი).

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲗᲣ ᲰᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ

გაიმართა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების აჭარის საოლქო ორგანიზაციის კონფერენცია.

— ეს საზოგადოება, თქვა მომხსენებელმა, ორგანიზაციის თავმჯდომარემ ა. მეგრელიძემ, მხოლოდ რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა. მართალია ეს დრო არ არის საკმარისი, მაგრამ სავსებით შეიძლება გაწეული მუშაობის საღი ანალიზი გაკეთდეს, ნათლად გამოიკვეთოს პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, სამომავლოდ დაისახოს რეალური ამოცანები. ეს აზრი გასდევდა ლაიტმოტივად კამათის მონაწილეთა გამოსვლებსაც. ამიტომაც ნაკლოვანებებზე ბევრი ილაპარაკეს. მაგალითად, ქ. ბათუმში, ხელვაჩაურისა და ხულოს რაიონებში 9 ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. ითქვა, რომ ბევრგან ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას, უნიათოდ, უგერგილოდ, უპასუხისმგებლოდ მუშაობენ მეთოდისტები, დაინტერესებას კი არც ხელმძღვანელები იჩენენ. საბოლოო ჯამში ეს ქმნის უსუსურობას მასობრივი-გამჯანსაღებელ მუშაობაში. მაგალითად, ფიზიკურ კულტურასა და სპორტს რატომღაც უგულებელყოფენ ბათუმის სახლსაშენ კომბინატში, მეხუთე სამშენებლო ტრუსტში, „საქმთავარენერგოს“ ბათუმის განყოფილებაში, ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის, ხელვაჩაურის რაიონის მეჯინისწყლის, ხულოს რაიონის საცისტრის, შუახევის რაიონის დღვანის, ქედის რაიონის ოქტომბრის კოლმეურნეობებში.

ახლა გთავაზობთ კონფერენციაზე გამომსვლელთა რამდენიმე ფრაგმენტს.

გულნარა გორგილაძე — ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი: მე ხელბურთელი ვარ. 8 წელია ვთამაშობ. მაღალი სპორტული შედეგები არ მაქვს, მაგრამ ჩემთვის მთავარია ის, რომ სპორტი ჯანმრთელობას მიკაჟებს, ენერგიულსა და ხალისიანს მხდის. სამწუხაროდ, ჩვენს სპორტში ყველაფერი ვერ არის რიგზე, არ მოხერხდა გარდაქმნა. ცუდია, როცა გუნდს არაკვალიფიციური მწვრთნელი ხელმძღვანელობს, მიუტევებელია ისიც, როცა თამაშს უცოდინარი მსაჯი სჯის. ამას წინათ, სოხუმში გაიმართა რესპუბლიკის პირველობის ტური ხელბურთში. ძირითადად მატჩებს 16-17 წლის ჭაბუკები სჯიდნენ, მათ კი თამაშის ელემენტარული წესებიც არ იცოდნენ. რა ობიექტურობა უნდა მოვთხოვოთ ასეთ მსაჯებს?

რომან ვერულიძე — ქობულეთის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე: გასული წლის მეორე ნახევარში მოეწყო საკავშირო დათვალიერება-კონკურსი „არც ერთი ფიზკულტურის კოლექტივი მარტივი ტიპის მოედნის გარეშე!“. თუმცა... ბევრ სოფელს, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას არა აქვს მარტივი მოედნები. ასეთებია. ჩაისუბნის, ლუღვას, ზედა კვირიკეს, მუხაესტატეს კოლმეურნეობები, ალაბრის, ჩაქვის, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობები. ქაქუთის კოლმეურნეობამ 3 წლის წინათ დაიწყო ფეხბურთის მოედნის მოწყობა, მაგრამ ჯერ კიდევ არავინ იცის როდის დამთავრდება. ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საერთოდ ჩაშლილია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა (მეთოდისტი ა. რომანაძე). მეურნეობას კარგი ხელმძღვანელობა ჰყავს. ისინი ნიადაგ ზრუნავენ სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, მაგრამ...

კორესპონდენტის კომენტარი — თავს უფლებას მივცემ ვთქვა: რას ნიშნავს კარგი ხელმძღვანელობა და რაში გამოიხატება მათი ზრუნვა, თუ საქმე ერთ წერტილზეა გაყინული, ან რა ზომებს იღებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი (გარდა ნაკლის ზერელე შეფასებისა) მდგომარეობის გამოსასწორებლად?

თემურ დავითაძე — კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე: ჩემის აზრით, რიგ ფიზკულტურულ კოლექტივებში რომ ფორმალიზმი კვლავ არ აღმოფხვრილა, ამაში კომკავშირსაც შიუძღვის ბრალი: ვხედავდით, ვგრძნობდით, რომ მოგონილი ციფრებით აჭრელებული დოკუმენტებით სრულდებოდა სახელმწიფო დავალებები და ვდუმდით. ახლა, როცა მიმდინარეობს მთელი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნა, ფიზკულტურასა და სპორტშიც უნდა იგრძნობოდეს ამ საყოველთაო ძვრების სიკეთე.

• • •

გაიმართა აჭარის პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ახლანდელი საოლქო საბჭოს პირველი პლენუმი, რომელმაც საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩია ა. მეგრელაძე.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲕᲨᲐᲠᲐᲫᲔ.
(„ᲚᲔᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠᲡ.).

ბათუმი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ

ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ

უმაღლესი სპორტული დოსტატების სკოლები მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების სისტემაში უმაღლეს რგოლად ითვლება. ამაზე თვით სახელწოდებაც მიგვანიშნებს. მაგრამ როგორ ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციას ეს სკოლები? დღეს მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული დოსტატების რესპუბლიკური სკოლის მუშაობის შესახებ გვექნება საუბარი.

თავდაპირველად სტატისტიკა: სკოლამ ბოლო 5 წელიწადში მოამზადა 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 15—სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე სკოლის წარმომადგენლებმა მოიპოვეს 4 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი, 6 მძლეოსანი შედის სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში. შარშან მწვრთნელ ე. გაგუას აღზრდილები მ. აზარაშვილი და ბ. გოცირიძე გამოდიოდნენ რომში მძლეოსანთა მსოფლიო პირველობაზე. გოცირიძემ პირველმა ჩვენი მძლეოსნობის ისტორიაში მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება სპინტში.

არის თუ არა საკმარისი მიღწეული? თუ ღრმად ჩავიხედავთ სკოლის საქმიანობაში, დავინახავთ, რომ სკოლა ჯერ კიდევ სრულად ვერ ახრულებს დაკისრებულ ფუნქციას. სკოლის ხელმძღვანელების (დირექტორი რ. ტრაპაიძე) საქმიანობა მწყობრი სისტემით არ არის მიმართული საბოლოო მაღალი შედეგების მისაღწევად. თავს იჩენს ზერელობა, არასისტემურობა, რაც ზოგჯერ გადადის უპასუხისმგებლობაში. სკოლაში ირღვევა შერჩევის მეთოდი და ჯგუფის დაკომპლექტების ელემენტარული მოთხოვნები, ეს კი სკოლის გზას უხსნის უპერსპექტივო სპორტსმენებს.

1986 წელს ბრძანებით სკოლაში ჩარიცხულია 26 სპორტსმენი, რომელთაგან დღემდე შემორჩა მხოლოდ 5. დანარჩენებზე სკოლისთვის შეუფერებლობის ან გარიცხვის არავითარი დოკუმენტი არ შეუქმნიათ. საერთოდ სკოლის დოკუმენტაცია არ უპასუხებს დადგენილ ძირითად მოთხოვნებს. ხშირად ხდება ხოლმე და ვერც ამ სკოლამ დააღწია თავი მიღწეულით თვითკმაყოფილებას. ლაპარაკია ერთიულ სპორტსმენთა წარმატებებზე. მწვრთნელთა ხაბჭო, რომელიც უამიდან უამამდე ტარდება, მეტწილად მეორეხარისხოვან, ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, ის კი, რაც უმთავრესია — სასწავლო-სავარჯიშო პროცესის დაგეგმვა, მუშაობის სტილის და მეთოდების პრინციპული შეფასება, ანალიზი, შეჯიბრების შედეგების შეჯამება და კონკრეტულ პიროვნებათა პასუხისმგებლობა, ყურადღების მიღმა რჩება. სამაცარია, მაგრამ ფაქტია, სკოლაში წელიწადნახევარი სასწავლო ნაწილის გამგის შტატი ვაკანტური იყო.

საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების შემდეგ, ცხადია, აღარ არის გასაკვირი, რომ, როგორც წესი, არ სრულდება სსრ კავშირის სპორტის ოსტატისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მომზადების დავალებები. მოვიყვანთ კონკრეტულ ფაქტებს: 1983-86 წლებში სკოლა 9 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მომზადებას გეგმავდა — მომზადდა მხოლოდ 1. სსრ კავშირის სპორტის ოსტატი უნდა მომზადებულიყო 26, მომზადდა 13. მხოლოდ 76,8 პროცენტით შესრულდა სპორტის ოსტატობის კანდიდატთა მომზადების გეგმაც — შესაბამისად 38 და 29. ამავე პერიოდში მხოლოდ 7 სპორტსმენი გამოდიოდა საკავშირო შეჯიბრებებში — მოპოვებულია 9 პირველი, 4 მეორე და ამდენივე მეხამე ადგილი.

სკოლა, როგორც წესი, რესპუბლიკაში მძლეოსანთა აღზრდა-დოსტატების კოორდინატორი, ბავშვთა სპორტულ სკოლებში მძლეოსნობაში მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა მეთოდური ხელმძღვანელიც უნდა იყოს, მაგრამ მან დაკარგა ახეთი ცენტრის სახელი და ავტორიტეტი. გამოირკვა, რომ ჯეროვანი შეფასება არ ეძლევა აგრეთვე სპორტსმენთა მედიკო-ბიოლოგიურ მომსახურებას. სოლიდური სამედიცინო შტატის მიუხედავად ამ სკოლის 96 მსმენელიდან 1986 წელს სრული დისპანსერიზაცია მხოლოდ 36 მძლეოსანმა გაიარა. რაც შეეხება რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში ამ სკოლაში გაერთიანებული 31 სპორტსმენის სამედიცინო შემოწმებას, მათზე რაიმე მონაცემებიც კი არ არსებობს. სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობაც მოიხსუტებს. უკიდურესად ხელმიშვებულია სკოლის მძლეოსნური მანეჟი.

ახორციელებდა თუ არა სკოლისადმი კონტროლს ზემდგომი ხელმძღვანელი რგოლი — საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის განყოფილება? განყოფილების უფროსი ტ. ბახტაძე და განყოფილების სხვა თანამშრომლები ღრმად არ წვდებიან სკოლის მუშაობაში, ურიგდებიან იქ შექმნილ მდგომარეობას, არ იგრძნობა მათი მხრიდან მკაცრი, პრინციპული მომთხოვნელობა.

იმსჯელა რა სკოლაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ ამას წინათ გამართულ სხდომაზე უმკაცრესი, მაგრამ ობიექტური შეფასება მისცა სკოლის საქმიანობას. უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების საქმეში სკოლის მიერ გაწეული მუშაობა კოლეგიამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. აღინიშნა, რომ სუსტი ხელმძღვანელობისა და სასწავლო-სპორტულ პროცესში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სკოლის დირექტორი რ. ტრაპაიძე იმსახურებს თანამდებობიდან გათავისუფლებას, მაგრამ მხედველობაში მიიღო რა, რომ ტრაპაიძემ აღიარა ნაკლოვანებები და პირობა დადო გარდაქმნას საქმიანობა, კოლეგია მის მიმართ შემოიფარგლა მსჯელობით. დირექტორის თანამდებობაზე შემდგომში მისი ჯდარჩენის საკითხი კი გადაწყდება მას შემდეგ, როცა კოლეგია სამი თვის შემდეგ კვლავ დაუბრუნდება სკოლაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხს.

სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ რ. აიწურაძემ რესპუბლიკურ ფედერაციასთან ერთად (გ. გამყრელიძე) ორ თვეში უნდა წარადგინოს წინადადებები მძლეოსნობის სრულყოფისა და განვითარების, ამ სახეობისადმი ხელმძღვანელობის განმტკიცების საკითხებზე.

სპორტსახკომის მძლეოსნობის განყოფილების (ტ. ბახტაძე) ხელმძღვანელობა სკოლისადმი ჩათვალა არასაკმარისად.

კოლეგიის დადგენილების სხვა პუნქტები ითვალისწინებს სკოლის მუშაობის რადიკალური გარდაქმნის უზრუნველყოფასა და მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებას.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

„ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲕᲐᲙᲚᲘᲐ“

ᲐᲛ ᲗᲐᲗᲣᲠᲘᲗ „ᲚᲔᲚᲔᲚᲝᲡ“ 13 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲧᲐᲚᲐᲤᲣᲑᲝᲡ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲪᲮᲣᲜᲙᲣᲠᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲓᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ „ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ“ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲣᲠᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲝᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲗ ᲓᲐᲙᲘᲡᲠᲣᲚᲓᲐ.

ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲔ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ



სსრ კავშირის

ჩემპიონატი წყალბურთში

პირველი შესვენების შემდეგ

განახლდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატი. მეორე ტურის მატჩებიც, ტრადიციულად, ორ ქალაქში ტარდება.

ბაქო. პირველი დღის სამივე შეხვედრა მძაფრი, დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ორ მატჩში ფრე დაფიქსირდა, მესამეში კი გამარჯვებულმა მხოლოდ მინიმალურ უპირატესობას მიაღწია.

თბილისის „დინამო“ ტურის მასპინძელთან — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდთან თამაშობდა. პირველი პერიოდი მასპინძლებმა მოიგეს — 2:1, მეორე — ასეთივე ანგარიშით სტუმრებმა, მესამე პერიოდში ბაქოელი წყალბურთელები დაწინაურდნენ, მაგრამ თბილისელებმა შეხვედრის მიწურულს გაათანაბრეს ანგარიში. საბოლოოდ ამ მატჩში ფრე დაფიქსირდა — 9:9. ჩვენმა „დინამომ“ მეორე შეხვედრა მოუგო კიეველ თანაკლუბელებს — 8:6.

პირველი ქულა დაკარგა ცსკა ვმფ-მ. მოსკვიჩთან მისი შეხვედრის ანგარიშია 6:6 (2:1, 2:1, 0:2, 2:2). მოსკოვის უნივერსიტეტმა მცირე უპირატესობით სძლია კიევის „დინამოს“ 6:5 (3:1, 1:3, 1:1, 1:0).

ლვოვი. საკუთარ აუზში, საკუთარი მაყურებლების წინაშე თამაში ადვილიც არის და... საპასუხისმგებლოც. ასე რომ არ იყოს, ლვოვის დინამოელებს უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან — შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილიის (სევასტოპოლი) გუნდთან თამაში არ გაუჭირდებოდათ. მასპინძლებმა, მართალია წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ეს გამარჯვება დიდი ფიზიკური და ნერვული დაძაბულობის ფასად მოვიდა — 9:7.

სამაგიეროდ, ლვოვის „დინამოს“ წყალბურთელებმა მეორე დღეს დაამტკიცეს, რომ შინ კედლებიც დიდი მოკავშირეა. ყოველ შემთხვევაში ალმა-ათის თანაკლუბელების დამარცხება თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ამ ტურის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად. ლვოვის „დინამომ“ გაიმარჯვა 8:7.

სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: „დინამო“ (ალმა-ათა) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 7:6, „დინამო“ (მოსკოვი) — ასკ (შინსკი) 17:5, „ლოკომოტივი“ — ასკ 9:6, „დინამო“ (მოსკოვი) — კჩფ (სევასტოპოლი) 5:4.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

სამი გამარჯვება „სტროიტელთან“

კაუნასი. აქ განახლდა კალათბურთელ ვაუთა საკავშირო ჩემპიონატი იმ გუნდებისთვის, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან.

თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრები, ცხადია, პირველ რიგში საკუთარი გუნდის გამოსვლით არიან დაინტერესებული, მით უფრო, რომ კაუნასის ტურის პირველ მატჩში იგი უახლოეს კონკურენტს — კიევის „სტროიტელს“ ხვდებოდა. შეგახსენებთ, რომ ამ მატჩამდე უკრაინელ კალათბურთელებს 25 შეხვედრის შემდეგ 40 ქულა ჰქონდათ. თბილისელები მათ 2 ქულით ჩამორჩებოდნენ.

მაგრამ მატჩის შინაგან დრამატიზმსა და სიმძაფრეს მხოლოდ ეს როდი განაპირობებდა. „სტროიტელსა“ და „დინამოს“ შორის წლევანდელ ჩემპიონატში სტაბილური ურთიერთობა დამყარდა. თბილისელები უკრაინელ კალათბურთელებს ორჯერ შეხვდნენ, ორჯერვე მის მოედანზე და ორჯერვე გამარჯვება მოიპოვეს — 90:87 და 97:96. მაშინ თბილისის დინამოელთა კრიტიკოსები ამ წარმატებას იმით ხსნიდნენ, რომ „სტროიტელის“ შემადგენლობა არ იყო სრულყოფილი.

ამ გუნდების მესამე შეხვედრა (უკვე გათამაშების მეორე ეტაპზე), როგორც ხედავთ, ნეიტრალურ მოედანზე შედგა, თანაც „სტროიტელის“ შემადგენლობა ამჯერად სრული იყო, მაგრამ გამარჯვება ისევ თბილისელებს დარჩათ.

როგორც ყოველთვის შეხვედრა ერთობ დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ფაქტიურად მატჩის მიწურულს გადაწყდა.

...მსაჯის საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე დინამოელები წინ იყვნენ მხოლოდ ერთი ქულით — 70:69. დერიუგინმა და ოპოშნიანმა სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდეს — 74:69. „სტროიტელმა“ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პრესინგს მიმართა, მაგრამ ამ ტაქტიკურმა ხერხმა სასურველი შედეგი არ გამოიღო.

შეხვედრის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ანგარიში იყო 80:74 „დინამოს“ სასარგებლოდ. უკრაინელებმა მთელი ძალების მობილიზაციის ხარჯზე ერთხელ კიდევ აქტიურად შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ მხოლოდ 5 ქულის აღება შეძლეს, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. თბილისის „დინამომ“ ამ ჩემპიონატში კიევის „სტროიტელი“ მესამედ დაამარცხა — 80:79 (44:48).

გამარჯვებული გუნდის წევრებმა (დარსაძე, კაპუსტინი, სანაძე, დერიუგინი, ოპოშნიანი, ბოროდაჩოვი და სხვ.) მონდომებითა და თავგანწირვით ითამაშეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა სხვა მატჩებზეც, პირველ რიგში კაუნასის „უალგირისისა“ და მოსკოვის „დინამოს“ ორთაბრძოლაზე. ლიტველი კალათბურთელები შინ, საერთოდ, იშვიათად აგებენ და საფიქრებელი იყო, რომ ამ შეხვედრა-საც თავის სასარგებლოდ დაამთავრებდნენ. მაგრამ მოხდა პირიქით. მოსკოველებმა მონდომებით ჩაატარეს ბრძოლა, მოიგეს პირველი ტაიმი (50:41) და მასთან ერთად შეხვედრაც — 104:85.

სხვა ორი მატჩი დამთავრდა ასე: „შახტიორი“ (დონეცკი) — ვეფ (რიგა) 91:83 (43:46), ცსკა — რტი (მინსკი) 90:74 (45:37).

გუშინ თბილისის „დინამო“ დამარცხდა კაუნასის „უალგირისთან“ — 96:101 .

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	26	25	1	2468-2021	51
„უალგირისი“ (კაუნასი)	26	19	7	2377-2148	45
„სტროიტელი“ (კიევი)	26	15	11	2193-2179	41
„დინამო“ (თბილისი)	26	14	12	2252-2420	40
რტი (მინს.)	26	12	14	2046-2072	38
„დინამო“ (მოსკოვი)	26	12	14	2327-2252	38
„შახტიორი“ (დონეცკი)	26	12	14	2069-2168	38
ვეფ (რიგა)	26	11	15	2282-2400	37

ორი საწვრთნელი მატჩი

ლესელიძე. აქაურ სპორტულ ბაზაზე წინასასეზონო საწვრთნელ მზადებას განაგრძობს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი.

დინამოელებმა 5 და 7 თებერვალს საერთაშორისო საწვრთნელი მატჩები გამართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „კარლ-მარქს-შტადტის“ გუნდთან. პირველ შეხვედრაში თბილისელები დაწინაურდნენ (გოლი გაიტანა შენგელიამ). შემდეგ წინ გავიდნენ სტუმრები — 2:1, მალე ანგარიში გაათანაბრა გურულმა — 2:2, მაგრამ „კარლ-მარქს-შტადტის“ ერთ-ერთი შეტევა მატჩის დასასრულს გადამწყვეტი გოლით დამთავრდა. შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა — 3:2.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: გაბელია, მიქაბერიძე, სულაქველიძე, ცვეიბა, სვანაძე, ჭედია, კორიდალიძე, ჯიშკარიანი, ქეცბაია, გურული, შენგელია.

საპასუხო მატჩი ამავე გუნდებს შორის ფრედ დასრულდა — 0:0. დინამოელთა შემადგენლობაში ამჯერად გამოდიოდნენ: გაბელია, ფირცხალავა, სულაქველიძე, ცვეიბა, სვანაძე, მიქაბერიძე, ჭედია, ტყებუჩავა, აჯოევი (კორიდალიძე), გურული, ფანცულაია.

ყველა შეხვედრა მოიგეს

ინდოეთიდან შინ დაბრუნდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელები, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ჯავაჰარლალ ნერუს ტრადიციულ საერთაშორისო მემორიალზე. ჩვენმა გუნდმა თავდაპირველად ანგარიშით 1:0 დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები, შემდეგ, ასეთივე ანგარიშით — უნგრელები, ჩინეთის (2:1), ინდოეთისა (2:0) და პოლონეთის (2:0) გუნდები, დაბოლოს, სუპერფინალში კვლავ პოლონეთის ოლიმპიურ ნაკრებს შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0 (გოლები — ივანაუსკასი, ი. სავიჩევი).

გადამწყვეტ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ხარინი, სკლიაროვი, კეტაშვილი, იაროვენკო, ე. კუზნეცოვი, იშჩენკო, მიხაილიჩენკო, ი. სავიჩევი, ივანაუსკასი, ტატარჩუკი (კოლივანოვი), ბარანაუსკასი (ბოროდიუკი). ნაკრების ხელმძღვანელია ა. ბიშოვეცი. საბჭოთა ოლიმპიელებმა ჯ. ნერუს სახელობის თასის გარდა მოიპოვეს სხვა ჯილდოც — 50 ათასი რუპი, რაც სსრ კავშირის სპორტსახკომს ჩაბარდა.



გელა დარსაძე— საუკეთესო ბომბარდირი

ამ დღეებში გაზეთ „სოვეტსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა საინტერესო სტატისტიკური მასალა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაუთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგებსა და ცალკეულ კალათბურთელთა შესახებ. საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ლ. ჩუდინმა პირველი ეტაპის 22 კალენდარული მატჩის ანალიზის საფუძველზე თამაშის სხვადასხვა კომპონენტში უძლიერესთა ხუთეულები შეადგინა. ამ სიაში მოხვდა თბილისის „დინამოს“ სამი წარმომადგენელი — გელა დარსაძე, გენადი კაპუსტინი და ალექსი ოპოშნიანი.

საუკეთესო ბომბარდირები: 1. გ. დარსაძე („დინამო“ თბილისი) — 420 ქულა (20 შეხვედრაში) — თითო მატჩში საშუალოდ 20,0 ქულა. 2. შ. მარჩიულიონისი („სტატიბა“) — 439 ქულა (22 შეხვედრა) — 20,0 ქულა, 3. გ. ვეტრა (ვეფ) — 425 ქულა (22 შეხვედრა) — 19,3 ქულა; 4. რ. კურტინაიტისი („უალგირისი“) — 400 ქულა (21 შეხვედრა) — 19,0 ქულა, 5. ა. ვაინაუსკასი („სტატიბა“) — 395 (22 შეხვედრა) — 18,0 ქულა.

ზედიზგანი გადაცემები: 1. ვ. ვალტერსი (ვეფ) — 71 (20 შეხვედრაში) — 3,55 შედეგიანი გადაცემა საშუალოდ ყოველ მატჩში... 3. გ. კაპუსტინი („დინამო“, თბილისი) — 53 (18 შეხვედრაში) — 2,94 გადაცემა.

გლოკირებული სროლები: 1. ვ. კოროლოვი („სპარტაკი“, ლენინგრადი) — 38 (20 შეხვედრაში) — 1,90... 5. ა. ოპოშნიანი („დინამო“, თბილისი) — 22 (22 შეხვედრაში) — 1,00.

სროლები თამაშიდან: 1. ნ. პუკე (ვეფ) — 131 სროლა (98 ზუსტი მოხვედრა) — 74,8 პროცენტი.

3-ქულიანი სროლები: 1. კ. პიჰელგასი („კალევი“) — 31 სროლა — 24 მოხვედრა — 77,4 პროცენტი.

საჯარიმო სროლები: 1. ი. შიშკოვი („დინამო“, მოსკოვი) — 60 სროლა — 55 მოხვედრა — 91,7 პროცენტი.

ფარზე ასხლეტილი ბურთები: 1. ა. ბელოსტენი („სტროიტელი“) — 135-ჯერ (15 თამაშში). საშუალოდ 9-ჯერ თამაშში.

გადაცემის ჩაჭრა. 1. შ. მარჩიულიონისი („სტატიბა“) — 66-ჯერ (22 შეხვედრაში). საშუალოდ სამჯერ თითო მატჩში.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

პარიზი მოსკოვის „დინამომ“ ტურნე დაიწყო საფრანგეთში და პირველი მატჩი ფრედ დაამთავრა „ტულუზასთან“ — 0:0. მოსკოველი ფეხბურთელები 10 თებერვალს კორსიკის ქალაქ აიაჩოში ითამაშებენ, ხოლო 13 თებერვალს — ნანტში.

• • •

ვალეტა. მალტის დედაქალაქში მიმდინარეობს 4 გუნდის საერთაშორისო ტურნირი. მალტელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0 მოუგეს ფინელებს, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა — ტუნისელებს (5:0). ამ ტურნირში მალტა, ფინეთი და ტუნისი გამოდიან ეროვნული ნაკრები გუნდებით, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — ოლიმპიური გუნდით.

ლიდერიც დამარცხდა

(დასასრული)

გადავიდა. კრიტიკულ სიტუაციაში იოსელიანმა შეცდომა დაუშვა, მხედველობიდან გამორჩა მეტოქის ელემენტარული კომბინაცია და მე-40 სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

ელენა ახმილოვსკაიასა და აგნეშკა ბრუსტმანის შეხვედრაში, ძველინდური დაცვის დებიუტში ახმილოვსკაიამ დიდი უპირატესობა მიიღო. მართალია, ბრუსტმანი მოდმებით იგერიებდა მეტოქის მუქარებს, მაგრამ ახმილოვსკაიამ ლამაზი კომბინაცია განახორციელა — ლაზიერი შეწირა ორ ფიგურაში და მეტოქე აიძულა დანებებოდა.

ირინა ლევიტინა თეთრი ფიგურებით ეთამაშებოდა ქეთევან არახამიას. სიცილიურ დაცვაში დაფაზე უაღრესად საინტერესო პოზიცია წარმოიქმნა. მეტოქეებმა რამდენიმე ფიგურა გაცვალეს და პარტია მსუბუქ ფიგურებიან ენდშპილში გადავიდა. არახამიამ გამსვლელი პაიკი მიიღო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი წინსვლა შეუძლებელი იყო და ამიტომ თამაშის მეექვსე საათზე მეტოქეები დაზავდნენ.

მეორე წრის I ტურში პირველი დამარცხება განიცადა ტურნირის ერთპიროვნულმა ლიდერმა მარტა ლიტინსკაიამ. იგი თეთრი ფიგურებით ეთამაშებოდა აგნეშკა ბრუსტმანს. ლიტინსკაიამ დებიუტში დიდი უპირატესობა მიიღო და მწვავედ შეუტია მეტოქის მეფეს, მაგრამ ვიდრე იგი ამ გადამწყვეტი იერიშის დაგვირგვინების გზას მონახავდა, ბრუსტმანმა, მიუხედავად სასტიკი ციტნტოტისა, ლაზიერის ფრთაზე მის მეფეს შამათის მუქარა შეუქმნა. ამ მომენტში ლიტინსკაიას მხედველობიდან გამორჩა მეტოქის მხრიდან შამათის მარტივი შესაძლებლობა და 28-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

ნანა ალექსანდრიამ, რომელიც შავი ფიგურებით ეთამაშებოდა ირინა ლევიტინას, თავის მეტოქეზე უარესი პოზიცია მიიღო. ამას ციტნტოტიც დაერთო და საბოლოოდ ალექსანდრია დამარცხდა.

ენდშპილში გადაწყდა ნანა იოსელიანისა და ნონა გაფრინდაშვილის პარტიის ბედი. ნონას შეცდომა მოუვიდა — ფიგურა დაკარგა და დანებდა.

უკიდურესად დაძაბულად მიმდინარეობდა ელენა ახმილოვსკაიასა და ქეთევან არახამიას შეხვედრა. ახალგაზრდა დიდოსტატმა თავის მეტოქეზე უარესი პოზიცია მიიღო. მან, მართალია, ვერ მოასწრო როქის გაკეთება, მაგრამ შეუპოვარი და, რაც მთავარია, ზუსტი დაცვით თანდათან უვნებელყო მეტოქის უშუალო მუქარა. პარტია ენდშპილში გადავიდა. მხედრის მოულოდნელი შეწირვით არახამიას სერიოზული კონტრთამაშის შანსები მიეცა, ამ მოვლენებში პარტია გადაიდო.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ 5,5 ქულით კვლავ მარტა ლიტინსკაია ლიდერობს. ელენა ახმილოვსკაიას 5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. 5 ქულა აქვს ირინა ლევიტინასაც. შემდეგ მოდიან: ნანა იოსელიანი — 4,5, ნანა ალექსანდრია — 4, აგნეშკა ბრუსტმანი — 3, ქეთევან არახამია — 2 (1), ნონა გაფრინდაშვილი — 2.

დღეს დამთავრდება გადადებული პარტიები.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

წყალტუბო.

გუშინ...

გაიმართა მე-9 ტურის შეხვედრები: ლევიტინა — იოსელიანი 0,5:0,5, ბრუსტმანი — გაფრინდაშვილი 1:0, ლიტინსკაია — არახამია 1:0. გადაიდო ალექსანდრია — ახმილოვსკაიას პარტია.

სიახლის გაბედული დანერგვით

შარშან შემოდგომაზე ბათუმში ჩატარდა ჭაბუკთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში. მეორე ჯგუფში ასპარეზობდა 1971-1972 წლებში დაბადებულ ფრენბურთელ გოგონათა გუნდი ჯვარიდან, რომელიც ამ შეჯიბრებაზე წალენჯიხის რაიონის სახელით გამოდიოდა. და აი, სენსაცია — ეს ყველასათვის უცნობი გუნდი რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა და პირველ ჯგუფში გადავიდა. ერთი შეხედვით პარადოქსია — სად ჯვარის პატარა გუნდი, რომელსაც არავითარი ტრადიციები არ გააჩნია ფრენბურთში და სად რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული. ეს წარმატება კანონზომიერია თუ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე? ვიდრე ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ჯერ წარსული უნდა გავიხსენოთ... ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლისას 1986 წელს დოცენტმა მიხეილ ოყროშიძემ მის მიერ შემუშავებული ორიგინალური თეორია გაგვაცნო — სპორტის სიტუაციურ სახეობათა (ჭიდაობა, კრივი, სპორტული თამაშები, ჩოგბურთი, ფეხბურთი და სხვა) და ამ სახეობებში ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვებით სპორტული ოსტატობის



ამაღლების შესახებ. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენს დროში სპორტსმენების მომზადებისას დიდ, გამოუყენებელ რეზერვად რჩება ბიოენერგეტიკული პოტენციალის, ანუ ამტანიანობის სწორად განვითარება; ამტანიანობის პრობლემა იმაშია, რომ ის დამოკიდებულია შინაგან სუნთქვაზე, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და კანის ანუ უჯრედოვან სუნთქვაზე და თუ არ გვეცოდინება ადამიანის ორგანიზმისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან სისტემათა მოქმედება, ჩვენ ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგს ბიოენერგეტიკული პოტენციალის ასამაღლებლად. მან სწორედ ამ პრობლემის გადასაწყვეტად შეიმუშავა სამწლიანი რბენის გრაფიკი, რომელიც, როგორც თვითონ ამტკიცებდა, გამოიწვევს სპორტსმენთა ამტანიანობის მკვეთრ გაზრდას, რაც განაპირობებს სპორტული შედეგების ზრდას. ამ სისტემაში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი კანონზომიერება. როგორც სპორტული წვრთნის (საერთო და სპეციალური მომზადების ერთიანობა, წვრთნის უწყვეტობა, თანდათანობითი და მაქსიმალური დატვირთვის ერთიანობა, დატვირთვის ტალღისებური დინამიკა, ციკლურობა), ასევე ორგანიზმის პოტენციალის განვითარების ბიოლოგიური თავისებურებების (აერობული და ანაერობული დატვირთვის ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, დატვირთვის სტიმულაციის დაგეგმვის ზღვარი, საწვრთნო პროცესების დროს დამოუკიდებელი ზემოქმედება გულის ფიზიოლოგიურ დიტატაციაზე და მიოკარდის ჰიპორტროფიაზე). დოცენტ ოყროშიძის დასკვნები არგუმენტირებული და დამაჯერებელი იყო. იგი ამტკიცებდა, რომ ეს გრაფიკი მთლიანად გადაწყვეტდა ამტანიანობის გაზრდის პრობლემას, რაც აუცილებლად აისახება გუნდის სპორტული მიღწევების გაზრდაში. და აი, ჩვენ გადავწყვიტეთ ეს სისტემა გამოგვეყენებინა 1971-1972 წლებში დაბადებულ ფრენბურთელ გოგონათა გუნდთან. მანამდე ეს გუნდი ჩვენი ხელმძღვანელობით 2 წლის განმავლობაში ვარჯიშობდა და ძალიან დაბალ შედეგებს გვიჩვენებდა. საქართველოს პირველობაზე მხოლოდ XII-XV ადგილებზე გადიოდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ფრენბურთელ გოგონათა გუნდი ამტანიანობით თავის მეტოქეებს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ არც გამოირჩეოდა მათგან. როდესაც გამოკვლევა მ. ოყროშიძის მეთოდით ჩავატარეთ, აღმოჩნდა, რომ ამტანიანობა გოგონებს საკმარისი არა აქვთ და ამ თვისების განვითარებისთვის გუნდს აქვს დიდი გამოუყენებელი რეზერვი. 1987 წელს ჩვენ დიდი სერიოზულობით შევუდექით რბენის გრაფიკის გამოყენებას. ერთკვირიანი მიკროციკლი შემდეგნაირად იგეგმებოდა: კვირაში 3-ჯერ ფრენბურთის თამაში (ტექნიკის დამუშავება, ტაქტიკა და სხვა), ერთხელ, ფრენბურთელთა სპეციალური ფიზიკური მომზადება და კვირაში სამჯერ სირბილი ოყროშიძის გრაფიკის მიხედვით. რა მოგვცა ასეთმა მომზადებამ? პირველ რიგში მკვეთრად გაიზარდა ჩვენი გოგონების საერთო ამტანიანობა. მაგალითად თუ მანამდე ჩვენი გოგონები 15 წუთში 3 კმ-ის გარბენისას საკმაოდ იღლებოდნენ და მათი პულსი 162-192 დარტყმათა ფარგლებში მერყეობდა, ოყროშიძის სისტემით ექვსთვიანი მომზადების შემდეგ გოგონები 6-8 კმ-ს დარბოდნენ იგივე სიჩქარით, პულსი კი წუთში 126-128 დარტყმას არ აღემატებოდა. აღსანიშნავია, რომ სირბილის შემდეგ გოგონებს ფრენბურთის თამაშიც შეეძლოთ. დისტანციის მნიშვნელოვნად გაზრდისას (2-3-ჯერ) პულსის ასეთი მკვეთრი შემცირება (25-30 დარტყმა წუთში) იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი გოგონების გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემა მნიშვნელოვნად გაძლიერდა. სწორედ ეს სისტემები უზრუნველყოფს ამტანიანობას და გულის პულსის ეკონომიზაციას წუთში. გოგონებს საერთო ამტანიანობის განვითარება დაეტყო ფრენბურთის თამაშშიც.

საინტერესოა, რომ შეჯიბრებაზე ჩვენს გოგონებს დღეში სამი, ოთხი და ზოგჯერ ხუთი შეხვედრის ჩატარებაც კი შეუძლიათ ზედმეტი გადაღლის გარეშე. ეს უპირატესობა კარგად გამოჩნდა ჭაბუკთა თამაშებზე ბათუმში, სადაც ჩვენი გოგონები პირველ ჯგუფში გადავიდნენ და უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიეღოთ სოხუმში ჩატარებულ შეჯიბრებაში საქართველოს განათლების სამინისტროს თასზე, რომელშიც რესპუბლიკის 8 უძლიერესი გუნდი ასპარეზობდა. აქ ჩვენი გოგონები მე-5 ადგილზე გავიდნენ.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა ქ. ჯვარიდან 1987 წელს მკვეთრი ნახტომი გააკეთა და სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია. ეს წარმატება, პირველ რიგში, საწვრთნო პროცესის სწორად აგებამ განაპირობა. ჩვენ შევძელით სპორტსმენების ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება მათი საერთო ამტანიანობის განვითარებასთან შეგვეხამებინა. თუ ფრენბურთელ გოგონათა გუნდის მიღწევას ცალკეულ პარამეტრებად განვიხილავთ, მაშინ მიხეილ ოყროშიძის სისტემაზე სპორტული შედეგის 35-40 % მოვა. ამჟამად ამ გუნდთან მეორე წლის გრაფიკით ვმუშაობთ. ახლადშექმნილ ნორჩ ფრენბურთელთა გუნდი კი თავის კარდიორეპარატორულ სისტემას პირველი წლის გრაფიკით განვითარებს, რომელიც პრაქტიკულად უკვე გამოცდილია და ჩვენი ნაკლებად ცნობილი კლუბი „ენგური“ თავის მიღწევებს მეცნიერებასთან კავშირს უნდა უმადლოდეს.

სერგო კუიმჯიანი,
სპორტის ოსტატი, სპორტკლუბ „ენგურის“ თავმჯდომარე.

მარინა კუიმჯიანი,
გუნდის მწვრთნელი.

თქვენი სურვილი— ჩვენი ციგა!

რამდენიმე დღე გადაუღებლად თოვდა. თეთრი საბურველი გადაეკრა თბილისს. მართალია, ხვავრიელ თოვლს სიძნელეებიც ახლავს, მაგრამ თბილისელებს მაინც უხარიათ მისი მოსვლა, — „ნამდვილი ზამთარი“ ხომ არც ისე ხშირად გვანებივრებს. სად აღარ ნახავთ მოგუნდავე პატარებს. ბავშვების ჟრიამულმა აავსო დედაქალაქის ქუჩები, პარკები და სკვერები. ხალხმრავლობაა გამარჯვების კულტურისა და დასვენების პარკშიც. განსაკუთრებით საღამოს საათებში და შაბათ-კვირაობით. ზოგი თოვლის პაპას აკეთებს, ზოგიც ციგით დასეირნობს, ატრაქციონებიც სრული დატვირთვით მუშაობს. თუ ციგა და თხილამურები არ გაქვთ, გული არ დაგწყდეთ — პარკის დირექციამ ესეც გაითვალისწინა. თვალსაჩინო ადგილას გამოკრული განცხადება იუწყება: „პარკში მუშაობს ციგებისა და თხილამურების გასაქირავებელი პუნქტი“. ასეთი მომსახურება, რომელსაც პარკის დირექცია გთავაზობთ ყოველ დღე, დილიდან გვიან საღამომდე, ძვირი არ დაგიჯდებათ — 1 საათით ციგის დაქირავება 30 კაპიკი ღირს, თხილამურებისა — 60. გარდა ამისა, შეგიძლიათ თხილამურები კუს ტბაზეც აიტანოთ. ინვენტარს წუნს ვერ დასდებთ, ასე რომ, შეგიძლიათ თამამად ისრიალოთ. გაითვალისწინეთ, ინვენტარის დასაქირავებლად რაიმე საბუთი უნდა დატოვოთ სალაროში. როგორც გვითხრეს, შემოსავალი შაბათ-კვირას უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. უკეთ მომსახურების მიზნით პარკის დირექციამ გამოჰყო ბრიგადები, რომლებიც ყოველდღე ასუფთავებენ ტერიტორიას ზედმეტი თოვლისგან. ჩასასვლელი კიბეები და სკამები მუდამ გაწმენდილია. მუხის ხეივანი თითქმის ყოველთვის სავსეა პატარებითა და მათი მშობლებით.

— უკაცრავად, ეს ციგა თქვენია თუ იქირავეთ?

— ჩვენია.

— თქვენ?

— მე ვიქირავე. მოგეხსენებათ, თბილისში ახეთი ზამთარი იშვიათია. ალბათ ამის ბრალია, დროულად რომ ვერ ვზრუნავთ ციგის შესაძენად. ასეთი მომსახურება კი ჩვენთვის მისწრებაა — ნასიამოვნები და გახალისებული ვბრუნდებით სახლში. პირადად მე კმაყოფილი ვარ და ალბათ სხვებიც დამეთანხმებიან.

დიახ, ამავე აზრისა იყვნენ ისინი, ვინც იმ დღეს პარკში ციგები და თხილამურები იქირავა.

ნინო სეხნიაშვილი,
ხათუნა იმნაძე.
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტები.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲖᲔᲚᲤᲔᲚᲓᲘᲜᲘ (ავსტრია). გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი თხილამურებში იუნიორთა შორის. ოქროს მედალი საბჭოთა ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა, მაგადანელმა ალექსანდრე კარჩევსკიმ მოიპოვა. 30-კილომეტრიანი დისტანცია მან 1:21.21,3-ში დაფარა. გოგონათა შორის რბოლა 15 კილომეტრზე გაბრიელა ჰესმა (გდრ) მოიგო — 40.30,7. ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი ავსტრიელი ჰეინც კუტინი იყო.

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ. ფრენბურთელ ვაჟთა ოლიმპიური შერჩევითი ტურნირის ფინალში ჰოლანდიის ნაკრებმა ჩინეთის გუნდი დაამარცხა (3:0) და სეულის თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ოლიმპიური საგზურები უკვე მიღებული აქვთ: სამხრეთ კორეას, სსრ კავშირს, ბულგარეთს, ბრაზილიას, საფრანგეთს, ტუნისს, არგენტინას, იაპონიასა და აშშ-ს.

ᲒᲣᲓᲐᲙᲔᲨᲢᲘ. ხმლით მოფარიკაკეთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო უნგრელმა იმრე გედევარიმ. ფინალში მან თანამემამულე იმრე ბუდოში დაამარცხა—10:3. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი — VI ადგილი კიეველმა გიორგი პოღოსოვმა აჩვენა.

ᲐᲗᲔᲜᲘ. მძლეოსანთა ზამთრის საერთაშორისო ტურნირზე ბულგარელმა სიმაღლეზე მხტომელმა სტეფკა კოსტადინოვამ 204 სანტიმეტრი აჩვენა და თავისსავე მსოფლიო რეკორდს (დარბაზებისთვის) მხოლოდ 1 სანტიმეტრი „დააკლო“.

დარში და ავდარში

რეგბი

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ გაიმართა ხუთი ერის პირველობის მეორე ტურის მატჩები. ლონდონის გარეუბან თვიქენჰემში ინგლისელებმა ტრადიციულად „უხერხულ“ მეტოქეს — უელსის გუნდს უმასპინძლეს და ამჯერადაც ვერაფერი დაუპირისპირეს სტუმრების თავგანწირულ თამაშს. ინგლისელთა მცველმა ვებმა მეორე ტაიმში ხელიდან გაუშვა ანგარიშის გახსნის ნაღდი შესაძლებლობა. ამან უელსელები გაამხნევა და შეხვედრის ბოლო 20 წუთში მცველ ქლემენთის იერიშებში ჩართვის შემდეგ, ფრთის სამმეოთხედელმა ჰედლიმ ორი ლელო გაიტანა, გარე ნახევარმცველმა დევისმა კი არეკნი შეაგდო. ვებმა კიდევ ერთი საჯარიმო „გააფუჭა“, მაგრამ მატჩის მიწურულს მაინც გაიტანა პრესტიჟის გოლი. საბოლოოდ ანგარიშით 11:3 (0:0) გაიმარჯვეს უელსელებმა.

თუ მატჩი თვიქნემში მზიან ამინდში ჩატარდა, ედინბურგის გარეუბან მერიფილდში შოტლანდიელებსა და ფრანგებს ნაწვიმარ მოედანზე, ძლიერ ქარში მოუხდათ თამაში. შეხვედრას მეტოქეებისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ფრანგებმა ედინბურგში უკანასკნელად ათი წლის წინ გაიმარჯვეს (19:16), შოტლანდიელები კი ამჟამად ყოფილი ლიდერების — ჰუქერის, კაპიტნის დინსისა და გარე ნახევარმცველის, რაზერფორდის გარეშე ასპარეზობენ. ეს რეგბისტები შესაბამისად 52 და 42 ქეფის (ქეფი საერთაშორისო მატჩში მონაწილეობის დამადასტურებელი სამახსოვრო ქუდია) მოპოვების შემდეგ გამოეთხოვნენ ნაკრებს. სტუმრებმა ანგარიში პირველსავე წუთზე გახსნეს: ორწლიანი შესვენების შემდეგ გუნდში დაბრუნებულმა ლესკარბურამ ზუსტად დაარტყა არეკნით. მალე რაზერფორდის „მემკვიდრემ“ — ქრემბმა, ასევე არეკნით, გაათანაბრა ანგარიში. შემდეგ ფრანგებმა დიდი ხნით ხელთ იგდეს ინიციატივა, მაგრამ ბერომ მხოლოდ ერთი საჯარიმოს შეგდება შეძლო — 6:3. კრიტიკულ სიტუაციაში შოტლანდიელთა მცველმა გევინ ჰესთინგსმა, ფრანგების მწვავე იერიშის ჩაშლის შემდეგ, კონტრშეტევა წამოიწყო, ბურთიანად 70-მეტრი გაირბინა და დააწინაურა თავისი გუნდი — 7:6. მალე ტუკალომ კიდევ ერთი ლელო გაიტანა, შესვენების შემდეგ კი იმავე ჰესთინგსმა ზედიზედ ოთხი საჯარიმოს შეგდებით ანგარიში 23:6-მდე. გაზარდა. ფრანგებმა მხოლოდ სხვაობის შემცირება შეძლეს (ლაქისკე — ლელო, ბერო — რეალიზაცია). საბოლოოდ — 23:12 (11:6) მასპინძლების სასარგებლოდ.

ორი ტურის შემდეგ ოთხ გუნდს (ირლანდიას, უელსს, საფრანგეთს, შოტლანდიას) 2-2 ქულა დაუგროვდა, ოღონდ ირლანდიელებმა და უელსელებმა ჯერჯერობით მხოლოდ თითო მატჩი გამართეს. ინგლისელებმა ორივე შეხვედრა წააგეს. მომდევნო ტურში, 20 თებერვალს, ფრანგები ირლანდიელებს უმასპინძლებენ, უელსელები კი — შოტლანდიელებს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი 86435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 10654